საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-996

10/12/2018

ქ. თბილისი

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „გურჯაანი (ჩუმლაყი) - თელავის შემოსავლელი საავტომობილო გზის (30კმ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილია „გურჯაანი (ჩუმლაყი) - თელავის შემოსავლელი საავტომობილო გზის (30კმ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

წარმოდგენილი პროექტის სირთულის გათვალისწინებით, ასევე საჯარო განხილვის დროს სამინისტროს მიერ კომპანიისათვის წარდგენილი შენიშვნების მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია სპეციალისტების მიერ მოხდეს პროექტისა და მისი განთავსების არეალის შესწავლა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას გამოაქვს გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაგრძელდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „გურჯაანი (ჩუმლაყი) - თელავის შემოსავლელი საავტომობილო გზის (30კმ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ადმინისტრაციული წარმოების ვადა 2019 წლის 14 იანვრამდე;
2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;

3. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი